ჩვენი სოფელი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა ◆ ივლისი/2019 **N6(45)**

ინტერვიუ გვ 8

ვასილ ბასილაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სურსათის უვნებლობა, ვეტერინარია და მცენარეთა დაცვა გვ 9

დაცული ტერიტორიები გვ 10-11



კოლხეთის ეროვნულ პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურა განახლდა

გარემოს დაცვა გვ 12-13

ყველაფერი, რაც ნადირობის შესახებ უნდა იცოდეთ

აგრორჩევა გვ 14-15

ლობიოს მწვანე პარკის მოყვანა მზის სათბურში და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა

წარმატების ისტორიები გვ 16

- ახალგაზრდა ფერმერმა დუშეთში მესაქონლეობის ფერმა შექმნა
- ხონის რაიონში ბიოჩაის წარმოება უახლოს მომავალში დაიწყება
- თერჯოლის რაიონში მდებარე რძის გადამამუშავებელი საწარმო ნედლეულს 50-მდე ადგილობრივი ფერმერული მეურნეობისაგან იბარებს
- მდინარე ალგეთი საქართველოს წითელი ნუსხის სახეობის, ნაკადულის კალმახის ლიფსიტით გათევზიანდა
- ჭალა-ორღულის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

16 ივლისის მდგომარეობით, ატმისა და ვაშლატამას ექსპორტმა 6,178 ტონა შეადგინა

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მიმდინარე წელს ატმის მოსავლის აღება დაგვიანებით დაიწყო, რამაც განაპირობა ექსპორტის დაბალი მაჩვენებელი გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. 2018 წელს, ამავე პერიოდში, საქართველოდან ექსპორტირებული იყო 8.006 ტონა.

ატმის ექსპორტის ხელშეწყობის მიზნით, გასული წლის მსგავსად, ექსპორტიორებისთვის ყველა საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და გაცემა ერთი ფანჯრის პრინციპით ხორციელდება. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან ფიტოსანიტარიული და საბაჟო სამსახურების წარმომადგენლები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფი აქტიურად მუშაობს ინფორმაციის მოპოვების, სისტემატიზაციის, ფერმერებისა და ატმის რეალიზატორების დაკავშირების მიმართულებებით.

ახალი ამბები გვ 2-5

- შეხვედრა ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან
- ქართული ღვინის ხარისხის კონტროლი ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია
- ღვინის ბაზრების დივერსიფიკაცია
- შეხვედრა კორეის რესპუბლიკის საელჩოს საქმეთა დროებით რწმუნებულთან
- სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისთვის FAO ახალ პროექტს იწყებს
- ელექტრონული ნარჩენების მართვის დანერგვის ახალი პროექტი
- სატყეო სექტორის განვითარება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს
- საქართველო ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოში გაწევრიანდა
- დაცული ტერიტორიების განვითარების ხელშეწყობა
- მსოფლიო ბანკმა საქართველოს მელიორაციას სატრანსპორტო საშუალებები გადასცა
- შეხვედრა კომანიის „FERRERO“ აღმასრულებელ დირექტორთან
- USAID-ის ახალი პროგრამით სარგებელს ასობით ბენეფიციარი მიიღებს
- ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავებელი საწარმო „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“

ქართული ღვინო გვ 6-7

WINEXPO GEORGIA 2019

SEOUL INTERENATIONAL WINES AND SPIRITS EXPO 2019

ღვინის პროფესიონალები ჩინეთიდან და ჰონგ-კონგიდან საქართველოს ეწვივნენ

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი

ქართულმა ფილმმა „საქართველო ღვინის სამშობლო“ მარსელის კინემატოგრაფიის ფესტივალზე სპეციალური პრიზი მიიღო

„ქინძმარაული“, „ახაშენი“, „ყვარელი“ და „მუკუზანი“ - აღნიშნული მიკროზონების ყურძნის ჩაბარებას მხოლოდ ვენახების კადასტრის ამონაწერის საფუძველზე მოხდება.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა 2019 წლის რთველის საორგანიზაციო საკითხები და დაგეგმილი სიახლეები ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე განიხილა

„ბოლო წლების განმავლობაში, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის დიდი გამოცდილება დაგროვდა. გასულ წელს, მეწარმეებმა და მევენახეებმა, სახელმწიფოს ჩარევის გარეშე, შეძლეს შეთანხმებების მიღწევა და რთველის შეუფერხებლად ჩატარება. გასული წლის მსგავსად, ჩასაბარებელი ყურძნის ფასს სახელმწიფო არც წელს დაარეგულირებს და 2019 წლის რთველი სუბსიდირების გარეშე ჩაივლის. შესაბამისად, ღვინის ეროვნული სააგენტო რთველის პროცესში ორგანიზების, მოსავლის აღრიცხვიანობისა და მიკვლევადობის კუთხით ჩაერთვება“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

როგორც მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, 2019 წლის რთველის პერიოდში, ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში, მევენახეები და ღვინის კომპანიები დაცული ადგილწარმოშობის დასახელების - „ქინძმარაული“, „ახაშენი“, „ყვარელი“ და „მუკუზანი“ მიკროზონების ყურძნის საწარმოებში ჩაბარებას მხოლოდ ვენახების კადასტრის ამონაწერის საფუძველზე შეძლებენ.

ეს, ხელს შეუწყობს რთველის პროცესის გამარტივებას და გამჭვირვალედ ჩატარებას, ასევე ქართული ღვინის ხარისხის ზრდას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სექტორის სტაბილური განვითარებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის მაღალი ხარისხი არის მთავარი ფაქტორი ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის.

ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ შეხვედრაზე აღნიშნა, რომ დარგის განვითარების სწორმა პოლიტიკამ, ახალმა მიდგომებმა და კერძო სექტორთან აქტიურმა კომუნიკაციამ, ღვინის ინდუსტრია საგრძნობლად განავითარა.

სააგენტო, ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით, შეძლებს ქართული ღვინის ხარისხის გაუმჯობესების პროცესი შეუქცევადი გახდეს და ქართულმა ღვინომ, საერთაშორისო ბაზარზე, პრემიუმ სეგმენტში დაიმკვიდროს ადგილი.

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. ღვინის კომპანიების ხელმძღვანელებმა მინისტრს საკუთარი შენიშვნები და მოსაზრებები გაუზიარეს. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ღვინის სექტორის წარმომადგენლებისთვის მნიშვნელოვან ყველა საკითხზე დეტალურად ისაუბრა.

ღვინის ექსპორტის რაოდენობრივი ზრდის პარალელურად, ქართული მხარე განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქართული ღვინის ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას

საქართველოს მეღვინეობის დარგის მარეგულირებელი ორგანოს, ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი ქართული ღვინის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და მისი კონტროლია.

ამ მიზნით, 2017 წელს, „ვაზისა და ღვინის შესახებ საქართველოს კანონში“ შესული ცვლილებებით, 2018 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო დეგუსტაციას დაექვემდებარა ყველა კატეგორიის საექსპორტო ღვინო. 2018 წლის პირველ იანვრამდე სავალდებულო დეგუსტაციას მხოლოდ ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოები ექვემდებარებოდა. აღნიშნული ცვლილების ინიციატივა კერძო სექტორის მხრიდან მოდიოდა და მიზანი, სწორედ ღვინის ხარისხის გაუმჯობესება იყო. საკანონმდებლო ცვლილებებით ასევე მოხდა საქართველოდან ჩამოსასხმელი ღვინის ექსპორტის აკრძალვა, რათა არ მოხდეს ქვეყნის გარეთ ქართული ღვინის ფალსიფიკაცია.

მიმდინარე წლის პირველ კვარტალში, ღვინის ეროვნული სააგენტოს სადეგუსტაციო კომისიამ, ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, 58 დეგუსტაცია ჩაატარა. სულ წარმოდგენილი იყო 2115 ნიმუში, მათგან 196 შეფასდა უარყოფითად.

ამასთან ერთად, მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში, საექსპორტო ღვინოების ინსპექტირების ფარგლებში, ღვინის კომპანიებიდან აღებულია 370-მდე ნიმუში, რაც საშუალოდ 50%-ით გაზრდილია გასული წლების ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. კომპანიებს საექსპორტო შესაბამისობის სერტიფიკატების გაცემაზე უარი ეთქვა 24 შემთხვევაში. სახელმწიფო კონტროლისა და სახელმწიფო ზედამხედველობის ფარგლებში შემოწმდა 30 კომპანია, აქედან 6 კომპანიის რამდენიმე დასახელების ღვინო არ შეესაბამებოდა კანონით დადგენილ მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს ღვინის სხვა პარამეტრების შემოწმებასთან ერთად, ხორციელდება ალკოჰოლური სასმელის ნახშირბადის სტაბილური იზოტოპის თანაფარდობაზე შემოწმება.

ღვინის ეროვნულ სააგენტოში ხარისხის კონტროლი ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია და ამ მიმართულებით ბოლო წლებში მუშაობა გაძლიერებულია. მნიშვნელოვანია, საქართველოში წარმოებული ათეულ მილიონობით ბოთლი ღვინო აკმაყოფილებდეს შესაბამის სტანდარტს. ვფიქრობთ, რომ არანაირი ობიექტური საფუძველი არ არსებობს იმისათვის, რომ ეჭვქვეშ დადგეს ქართული საექსპორტო პროდუქციის ხარისხი.

„ქართული ღვინის ბაზრის დივერსიფიკაცია ჩვენი ხელისუფლების პრიორიტეტული მიმართულებაა და ამ მხრივ კონკრეტული ქმედებებიც ხორციელდება“, - ლევან დავითაშვილი.

„2012 წლიდან, დღემდე ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით გამოყოფილი ბიუჯეტი 1.5 მლნ ლარიდან 9 მლნ ლარამდე გაიზარდა. ტენდეცია მზარდია. აღსანიშნავია, რომ ამ თანხიდან არც ერთი ლარი არ დახარჯულა, ტრადიციულ რუსეთის ბაზარზე, სადაც ქართულ ღვინოს ისტორიული ცნობადობა ისედაც აქვს. ჩვენი ქმედებები მიმართული იყო ალტერნატიულ ბაზრებზე ქართული ღვინის დასამკვიდრებლად.

2013 წლიდან 2016 წლამდე განხორციელებული სამეცნიერო პროექტების შედეგად, UNESCO-მ ქვევრის ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა და საქართველო ოფიციალურად აღიარებულ იქნა, როგორც ღვინის სამშობლო.

აღსანიშნავია, რომ ბაზრების დივერსიფიკაცია დროში გათვლილი ხანგრძლივი პროცესია, რომელიც საჭიროებს დიდ ძალისხმევას რათა მომხმარებლებმა ჯეროვნად შეაფასონ ქართული ღვინის უპირატესობები და ჩვენი ხელისუფლება ამ მიმართულებით მუშაობას აგრძელებს“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ხატია წილოსანი საქართველოში კორეის რესპუბლიკის საელჩოს საქმეთა დროებით რწმუნებულს, კიმ სე ვუნგს შეხვდა

შეხვედრაზე მხარეებმა კორეა-საქართველოს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს და ქართული ღვინის ექსპორტის კუთხით, სამომავლო თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

ხატია წილოსანმა შეხვედრაზე ყურადღება გაამახვილა ქართული ღვინის პოპულარიზაციის პროექტზე „საქართველო - ღვინის სამშობლო“, რომელის ფარგლებშიც გამოფენები წარმატებით განხორციელდა საფრანგეთსა და იაპონიაში.

შეხვედრაზე კიმ სე ვუნგმა ქვეყნებს შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. როგორც კორეის რესპუბლიკის საელჩოს წარმომადგენელმა აღნიშნა, ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ექსპორტის დიდი პოტენციალი აქვს. შესაბამისად, სახელმწიფოსა და კერძო სექტორთან აქტიური კომუნიკაციით და აქტიური თანამშრომლობით, შესაძლებელია საქართველოსა და კორეის რესპუბლიკას შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში გამართულ შეხვედრას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე, ლევან მეხუზლა, სააგენტოსა და ღვინის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

სოფლის მეურნეობის ხელშეწყობისთვის FAO ახალ პროექტს იწყებს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ერთად, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშემწყობ ახალ პროექტს იწყებს.

პროექტს ავსტრიის თანამშრომლობა განვითარებისთვის (ADC) ორი მილიონი ევროთი დააფინანსებს. ახალი პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში სოფლის განვითარების პოლიტიკის შემუშავებას, ღირებულებათა ჯაჭვის გაუმჯობესებას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და გარემოსთან თავსებადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის განვითარებას.

ღონისძიება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე გიორგი ხანიშვილმა გახსნა.

მინისტრის პირველმა მოადგილემ მადლობა გადაუხადა დონორ ორგანიზაციებს მხარდაჭერისთვის და პროექტის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.

„ქვეყანაში თითოეული ახალი პროექტის ინიცირება სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობას ნიშნავს. ასეთი პროექტები აძლიერებს ფერმერთა შესაძლებლობებს, ზრდის რეგიონების კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს მათი პოტენციალის წარმოჩენას. ვფიქრობ, პროექტი ეფექტიანი იქნება და მეტ ახალგაზრდას გაუჩენს აგრარულ დარგში საქმიანობის სურვილს“, - განაცხადა გიორგი ხანიშვილმა.

ღონისძიების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) წარმომადგენელმა საქართველოში, მამუკა მესხმა და ავსტრიის განვითარება თანამშრომლობისთვის (ADC) წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა სამხრეთ კავკასიაში, გერჰარდ შაუმბერგერმა მიმართეს.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროექტი ოთხწლიანია. მის ფარგლებში დაგეგმილია, როგორც ფერმერთა საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების გაძლიერება, ასევე, კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში ფერმერებისთვის სასოფლო-სამეურნეო გრანტების გაცემა.

გრანტების გაცემის საპილოტე მუნიციპალიტეტებად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში ონისა და ცაგერის, ხოლო შიდა ქართლის რეგიონში - ხაშურისა და გორის მუნიციპალიტეტები შეირჩა. გრანტები მიმართული იქნება ფერმერების კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და აგროწარმოებით გამოწვეული კლიმატის ცვლილების შემცირებისკენ, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ეროვნული სტრატეგიებით.

პროექტის პრეზენტაციას დაინტერესებული მხარეები და პოტენციური ბენეფიციარები ესწრებოდნენ. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრაც, სადაც პროექტის ტექნიკური საკითხები და განსახორციელებელი ღონისძიებები განიხილეს.

ელექტრონული ნარჩენების მართვის დანერგვისთვის ახალი პროექტი იწყება

ელექტრონული ნარჩენების მართვისა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ ახალ პროექტს გაეროს განვითარების პროგრამა და შვედეთის მთავრობა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და ორგანიზაცია სთან GEO თანამშრომლობით იწყებს.

ახალი პროექტის პრეზენტაციას საქართველოს სამთავრობო სტრუქტურების, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეხვედრა გახსნეს და მონაწილეებს სიტყვით მიმართეს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, სოლომონ პავლიაშვილმა, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) გარემოს დაცვის და ენერგეტიკის მიმართულების ხელმძღვანელმა, ნინო ანთაძემ და შვედეთის საელჩოს პროგრამის ოფიცერმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა.

პროექტის ძირითად მიზნებსა და დაგეგმილ ქმედებებზე, ასევე მოსალოდნელ შედეგებსა და მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე პროექტის ხელმძღვანელმა, ხათუნა გოგალაძემ (GEO) ისაუბრა.

ახალი პროექტის ხანგრძლივობა 16 თვეა და მისი მიზანია ელექტრონული ნარჩენების მართვის განხორციელების ხელშეწყობა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) სისტემაში, რომელიც ძალაში 2019 წლის პირველი დეკემბრიდან შედის.

პროექტი დაეხმარება საქართველოს ელექტრონული ნარჩენების კანონქვემდებარე აქტის განახლებაში; ასევე, ელექტრონული ნარჩენების მართვაში ჩართული არაფორმალური სექტორის მონაცემთა ბაზის შექმნასა და მათი შესაძლებლობების გაძლიერებაში. პროექტი დახმარებას გაუწევს კერძო სექტორსაც მწარმოებელთა პასუხისმგებელი ორგანიზაციის შექმნაში.

პროექტი ეფუძნება გაეროს განვითარების პროგრამის, შვედეთის მთავრობის, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ორგანიზაცია GEO-ს მიერ განხორციელებული პროექტის შედეგებს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების შესახებ (2017-2018).

პროექტით გათვალისწინებული ქმედებები განხორციელდება საჯარო და კერძო სექტორთან, სამოქალაქო საზოგადოებასთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სხვა ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

სატყეო სექტორის განვითარება ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს

„ჩვენთვის მნიშვნელოვანია ტყის რესურსების გამოყენება ეკონომიკური პრინციპების დაცვით. მადლობა მინდა გადავუხადო მსოფლიო ბანკს ტყის ახალი კოდექსის შემუშავებაში გაწეული ფინანსური დახმარებისთვის. ჩვენ უნდა შევქმნათ სატყეო მეურნეობების მოდელი და ვფიქრობ, დონორ ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობით სასურველ შედეგს მივიღებთ“, - განცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ მსოფლიო ბანკის პროექტის „სამხრეთ კავკასია - კერძო სექტორის როლის გაძლიერება ტყის სექტორის განვითარების მიზნით“ ფარგლებში გამართულ ღონისძიებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოსვლის დროს.

შეხვედრაზე საქართველოს, სომხეთის და აზერბაიჯანის ტყის სექტორის კვლევის შედეგები და განვითარების შესაძლებლობები განიხილეს.

მსოფლიო ბანკის ჯგუფის ლიდერმა, ტუკა კასტრენმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საქართველო მდიდარია ტყის ბუნებრივი საფარით, რასაც დაცვა-განვითარება სჭირდება და ამ კუთხით ქართულ მხარესთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გამოთქვა.

შეხვედრას სამინისტროს შესაბამისი უწყებების, ასევე, სომხეთის და აზერბაიჯანის რესპუბლიკის სატყეო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი სამუშაო ვიზიტით მაროკოს სამეფოში იმყოფებოდა

ვიზიტის ფარგლებში, მინისტრი ქალაქ მარაკეშში გამართულ ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს სესიას დაესწრო. სესიაზე საქართველო ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრად მიიღეს. საერთაშორისო საბჭო ზეთისხილისა და ზეითუნის ზეთის უმსხვილეს მწარმოებელ 20-მდე ქვეყანას აერთიანებს.

როგორც სესიაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა განაცხადა, სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი საქართველოში სოფლის მეურნეობის ახალი კულტურების გაშენების ხელშეწყობაა.

„სახელმწიფო პროექტების დახმარებით და თანამედროვე ბაზრის პრინციპების დაცვით, ქვეყანაში ასობით ჰექტარი ნახევრადინტენსიური და ინტენსიური მრავალწლოვანი კულტურები, მათ შორის ზეთისხილის ბაღები გაშენდა. საქართველოში არსებული კლიმატური და ნიადაგური პირობები ხელსაყრელია აღნიშნული კულტურის მოსაყვანად, შესაბამისად, საქართველო დაინტერესებულია დაიწყოს ზეთისხილის ინდუსტრიაში ოპერირება. დღეისათვის, უკვე გაშენებულია პლანტაციები და იწარმოება ზეთისხილის ზეთი. ჩვენი მიზანია, ხელი შევუწყოთ ქვეყანაში კლიმატ-

გონივრული და გარემოზე ადაპტირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენებას“, -აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

ზეთისხილის საბჭოს სესიას ზეთისხილისა და ზეთისხილის ზეთის მწარმოებელი და ექსპორტიორი ქვეყნებიდან დარგობრივი მიმართულების 6 მინისტრი ესწრებოდა. სესიის ფარგლებში, ზეთისხილის საერთაშორისო საბჭოს წევრობის დამდასტურებელი სიგელი, ქვეყნის სახელით, საქართველოს ზეთისხილის ასოციაციის პრეზიდენტს, გიორგი სვანიძეს გადაეცა.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა სამომავლო თანამშრომლობის საკითხების განხილვის მიზნით, ორმხრივი შეხვედრები გამართა მაროკოს სამეფოს, ეგვიპტის და ლიბიის რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრებთან, ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან და ექსპერტებთან.

სამუშაო შეხვედრებს, მინისტრთან ერთად, საქართველოს ელჩი ესპანეთის სამეფოში, ანდორის სამთავროში, მაროკოს სამეფოსა და ალჟირის სახალხო დემოკრატიულ რესპუბლიკაში ილია გიორგაძე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ხატია წილოსანი და საქართველოს ზეთისხილის ასოციაციის პრეზიდენტი გიორგი სვანიძე ესწრებოდნენ.

ზეთისხილის საერთაშორისო საბჭო 1959 წელს, მადრიდში დაარსდა და გაეროს სპეციალიზებულ სააგენტოს წარმოადგენდა. ორგანიზაციის მიზანია არა მხოლოდ ზეთისხილის პირველადი წარმოებისა და ექსპორტის მხარდაჭერა, არამედ კვლევა, გადამზადება და ტექნოლოგიების გადაცემა.

დაცული ტერიტორიების ინფრასტრუქტურული მოწყობის, მენეჯმენტის სრულყოფის, ეკოტურიზმის განვითარების და ახალი დაცული ტერიტორიების შექმნის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო ახალ პროექტს იწყებს

პროექტი გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკის KFW-ს მიერ გამოყოფილი გრანტის ფარგლებში განხორციელდება.

დაცული ტერიტორიების განვითარების შესაძლებლობების განხილვის მიზნით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი KFW-ს სამხრეთ კავკასიის რეგიონური ოფისის ხელმძღვანელს, კლაუს ფაიგელს შეხვდა.

შეხვედრაზე მინისტრმა მადლობა გადაუხადა გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკის წარმომადგენელს თანამშრომლობისთვის. ლევან დავითაშვილმა ყურადღება გაამახვილა ქვეყანაში ეკოსისტემების, ბიომრავალფეროვნების დაცვისა და დაცული ტერიტორიების განვითარების მნიშვნელობაზე.

„საქართველო მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, ჩვენთვის მნიშვნელოვანია მათი დაცვა და განვითარება. ამ მხრივ, ქვეყანას დიდი პოტენციალი გააჩნია და ვფიქრობ, ჩვენი მჭიდრო და ეფექტიანი თანამშრომლობით, შედეგიც შესაბამისი იქნება“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

როგორც კლაუს ფაიგელმა შეხვედრაზე აღნიშნა, გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკი KFW მხარს უჭერს საქართველოს ეკონომიკურ განვითარებას და მზადაა ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის.

შეხვედრას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე იური ნოზაძე და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ვალერიან მჭედლიძე ესწრებოდნენ.

მსოფლიო ბანკმა საქართველოს მელიორაციას სატრანსპორტო საშუალებები გადასცა

„მსოფლიოს ბანკის მიერ გადმოცემული ტექნიკა, „საქართველოს მელიორაციის“ საქმიანობის ეფექტიანი წარმართვისთვის მეტად მნიშვნელოვანია,“ - ამის შესახებ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა განაცხადა ღონისძიებაზე, სადაც მსოფლიო ბანკმა „ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროგრამის” ფარგლებში შპს „საქართველოს მელიორაციას“ 25 ერთეული „რენოს“ მარკის ავტომანქანა, სპეციალური ეკიპირება და კომპიუტერული ტექნიკა გადასცა.

„მელიორაციის კომპანიამ, მსოფლიო ბანკის პროექტის ფარგლებში, სრულად განაახლა ავტოპარკი, რაც საირიგაციო არხების აღდგენისა და ირიგაციის სისტემების გამართული მუშაოებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია“ - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.

სატრანსპორტო საშუალებებისა და სპეციალური ეკიპირების „საქართველოს მელიორაციისთვის“ გადაცემის ღონისძიებას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები, შპს “საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი ოთარ შამუგია, მსოფლიო ბანკის ადგილობრივი წარმომადგენელი, პროექტის მენეჯერი ლალი დურმიშიძე და კომპანიის თანამშრომლები დაესწრნენ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შპს „საქართველოს მელიორაცია“ 2015 წლიდან მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, როგორც სამელიორაციო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, ისე ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფის მიზნით, 45 მლნ აშშ დოლარის ღირებულების პროექტს ახორციელებს.

დღეისათვის დასრულებულია ქვემო სამგორის, ზედა რუსა და ტბისი კუმისის საირიგაციო სისტემების მაგისტრალური არხების სარეაბილიტაციო-აღდგენითი სამუშაოები; ამჟამად აღნიშნული სისტემების შიდა სამეურნეო ქსელებზე მიმდინარეობს საპროექტო სამუშაოები, რომელიც 2019 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

„ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროგრამა” შპს „საქართველოს მელიორაციის“ ინსტიტუციონალურ განვითარებას უწყობს ხელს, რაც ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფას, ეროვნული მოდერნიზაციის გეგმის შემუშავებას, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნის ხელშეწყობასა და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის მომზადებას ითვალისწინებს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ლევან დავითაშვილი იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ანტონიო ბარტოლის და კომპანიის „FERRERO“ აღმასრულებელ დირექტორს, მარკო გონკალვესს შეხვდა



„თხილის წარმოება ქვეყანაში მზარდია, რადგან სექტორს განვითარების დიდი პოტენციალი აქვს. დარგის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო პროგრამები ხორციელდება. მადლობა მინდა გადავუხადო კომპანიის „Ferrero“ აღმასრულებელ დირექტორს საქართველოს თხილის სექტორის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თხილის წარმოებაში კომპანიის გამოცდილების გაზიარება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია“, - განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა.

როგორც მინისტრმა შეხვედრაზე აღნიშნა, თხილის სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვანია საქართველოს თხილის მწარმოებელთა ასოციაციის როლი, რომლის ქმედით სტრუქტურად ჩამოყალიბებაში დიდია კომპანიის „Ferrero“ წვლილი.

„ჩვენ ვაფასებთ თქვენს მხარდაჭერას და ვფიქრობ, რომ ასოციაცია დაგროვილი გამოცდილებით ეფექტიანად შეძლებს საქმიანობის გაგრძელებას“, - განაცხადა მინისტრმა.

შეხვედრაზე მხარეებმა ინვაზიური მავნებლის, აზიური ფაროსანას მიერ მიყენებული ზარალის და ბრძოლის სტრატეგიის საკითხიც განიხილეს.

მარკო გონკალვესმა მადლობა გადაუხადა ლევან დავითაშვილს საქართველოში წარმოების განვითარების მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ კომპანია მომავალშიც გააგრძელებს თხილის სექტორში ინვესტირებას.

შეხვედრაზე კომპანიის დირექტორმა ღიად დააფიქსირა, რომ მზად არის აქტიურად ითანამშრომლოს იმ მეთხილე ფერმერებთან, რომლებიც სტანდარტების დაცვით აწარმოებენ პროდუქციას, რაც საშუალებას მოგვცემს დამატებული ღირებულება ადგილზე შეიქმნას.

საქართველოში იტალიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩმა, ანტონიო ბარტოლმა შეხვედრაზე ორ ქვეყნას შორის გრძელვადიანი და სტაბილური თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

USAID-ის ახალი პროგრამით სარგებელს ასობით ბენეფიციარი მიიღებს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სოფლის მეურნეობის პროგრამის პრეზენტაცია გაიმართა.

შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი ესწრებოდა, რომელმაც მადლობა გადაუხდა პროგრამის ხელმძღვანელს, ლუო ფაოროს მხარდაჭერისთვის და პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, სოფლის მეურნეობის ხუთწლიანი პროგრამის მიზანია, მდგრადი საბაზრო სისტემების დანერგვის გზით, სოფლის მეურნეობის იმ დარგების განვითარება, რომლებსაც სამუშაო ადგილების შექმნისა და მცირე და საშუალო ზომის საწარმოების შემოსავლების ზრდის მკაფიო პოტენციალი გააჩნია.

პროგრამა ითვალისწინებს სერტიფიცირების სისტემის სრულყოფის, სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის და შერჩეული ღირებულებათა ჯაჭვების (კენკროვანი კულტურები, მწვანილი, კურკოვანი ხილი, თესლოვანი ხილი (ვაშლი), მალფუჭებადი ბოსტნეული, მანდარინი, სუფრის ყურძენი) ხელშეწყობის საკითხებს.

პროგრამის ხელმძღვანელის, ლუი ფაოროს განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო მოხარულია საქართველოში ახალი პროექტის დაწყებით, რადგან ქვეყანაში სოფლის მეურნეობას განვითარების დიდი პოტენციალი აქვს.

მნიშვნელოვანია, რომ USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამა ტექნიკური ცოდნის შეძენისა და გაღრმავების თვალსაზრისით, სარგებელს 150 ათას ბენეფიციარს მოუტანს. მიზნობრივ ტექნიკურ დახმარებას კი, 500 მცირე და საშუალო ზომის საწარმო, კოოპერატივი, მომსახურების/კონსულტაციის მიმწოდებელი და ასოციაცია მიიღებს.

კახეთში, ყვარლის მუნიციპალიტეტში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილისა და ბოსტნეულის გადამმუშავებელი საწარმო „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“ სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით შეიქმნა

წარმოების პროცესს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან, ირაკლი ქადაგიშვილთან და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს დირექტორთან, პაატა შეყელაძესთან ერთად გაეცნო.

„მთავრობის მიერ განხორციელებული აგრარული დარგის განვითარების მხარდამჭერი პროგრამები, რომლის ფარგლებშიც, უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში 190-ზე მეტი საწარმო შეიქმნა, არის წარმატებული და შედეგზე ორიენტირებული. ის სტანდარტი, რომელიც საწარმოში „ჯორჯიაზ ნეიჩრლი“ არის დანერგილი, ადასტურებს ჩვენს მიერ გაცხადებულ პოლიტიკას, ვიყოთ მაღალ ხარისხზე ორიენტირებული და ადგილი დავიმკვიდროთ მსოფლიო ბაზრებზე“, - განაცხადა გიორგი ხანიშვილმა.

„ჯორჯიაზ ნეიჩრლის“ ხილის და ბოსტნეულის გადამმუშავებელ მეურნეობაში წლიურად 4,000 ტონა ხილის და ბოსტნეულის გადამუშავებაა შესაძლებელი; ამჟამად, წარმოებული პროდუქცია საექსპორტო ბაზრებისთვის არის განკუთვნილი. საწარმოში დასაქმებულია 25 ადამიანი. კომპანია „გადამმუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ ბენეფიციარია. საწარმოში, ჯამურად, 2,808,920 ლარის ინვესტიცია განხორციელდა, აქედან, 630,200 ლარი გრანტია, ხოლო 1,252,000 ლარი შეღავათიანი აგროკრედიტი.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს დაინერგა სტანდარტი ISO 22:000. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ორგანული წარმოების სტანდარტის დანერგვა და 2019 წლის აგვისტოში კომპანია დარეგისტრირდება როგორც „ორგანული პროდუქციის გადამამუშავებელი“ საწარმო.

აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან დღემდე, სახელმწიფოს დახმარებით 200 ახალი საწარმოს შექმნა დაფინანსდა. სახელმწიფოს ფინანსურმა მხარდაჭერამ მეწარმეებს დამატებითი ბიძგი მისცა წარმოების განვითარება-გაფართოებისთვის.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო ახორციელებს არაერთ პროექტსა და პროგრამას, რომლებიც გათვლილია გრძელვადიან განვითარებაზე და მათი მიზანია სოფლად ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობაში კონკურენტუნარიანობის ამაღლებას, მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების სტაბილურ ზრდას, სურსათის უვნებლობის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვას.

WINEXPO GEORGIA 2019

თბილისში ღვინის საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia 2019 გაიმართა

გამოფენა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ლევან დავითაშვილმა გახსნა.

„გამოფენის მასშტაბი, მონაწილე კომპანიების და ვიზიტორთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, რაც ადასტურებს გამოფენის პრესტიჟულობას და ქართული ღვინისადმი გაზრდილ ინტერესს. წლების განმავლობაში, ქვეყანაში ღვინის ინდუსტრია სწრაფად ვითარდება, იქმნება ღვინის მწარმოებელი ახალი კომპანიები, ინერგება ახალი ტექნოლოგიები და იწარმოება მაღალი ხარისხის ღვინო. ყოველწლიურად იზრდება ქართული ღვინის ექსპორტიც. საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში, ჩატარდა ღვინის საერთაშორისო კონკურსიც, რომლის ჟიურის წევრები არიან მსოფლიოში აღიარებული ღვინის ექსპერტები და სპეციალისტები, რომელთა მოსაზრება და შეფასება მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის გაზრდისთვის“, - აღნიშნა ლევან დავითაშვილმა.

WinExpo Georgia კავკასიის რეგიონში ყველაზე მასშტაბური გამოფენაა, სადაც წარმოდგენილია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელის წარმოებისთვის საჭირო ყველა კომპონენტი - მევენახეობა-მეღვინეობის მანქანა-დანადგარები, სასუქები, ნერგები, ტარა და შესაფუთი მასალები, აქსესუარები და სერვისების ფართო სპექტრი. გამოფენაში 12 ქვეყნის (საქართველო, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, პორტუგალია, რუმინეთი, ესპანეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, უკრაინა, ბელარუსია და თურქეთი) 160-მდე კომპანია მონაწილეობდა, რომელთა შორის 110-ზე მეტი ღვინის მწარმოებელი როგორც დიდი კომპანია, ისე საშუალო და მცირე მარანი იყო.

WinExpo Georgia-ს ოფიციალური მხარდამჭერები არიან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ღვინის ეროვნული სააგენტო.

WinExpo Georgia-ს ფარგლებში წელსაც გაიმართა ღვინის მე-11 საერთაშორისო კონკურსი International Wine Competition, სადაც ოქროს მედალი 26-მა ღვინომ დაიმსახურა. ამასთან ერთად, ვერცხლის მედლით 52 და ბრინჯაოს მედლით 133 ღვინო დაჯილდოვდა. კონკურსზე წარდგენილი იყო როგორც მსხვილი კომპანიების, ასევე მცირე და საოჯახო მარნების, ჯამში 81 კომპანიის წარმოებული 300-ზე მეტი ღვინის ნიმუში.

გამარჯვებულ კომპანიებს ჯილდოები საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ხატია წილოსანმა, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ ლევან მეხუზლამ და კონკურსის ჟიურის წევრებმა გადასცეს.

ღვინის პროფესიონალები ჩინეთიდან და ჰონგ-კონგიდან საქართველოს ეწვივნენ

ღვინის პროფესიონალები ჩინეთიდან, ჰონგ-კონგიდან და იაპონიიდან საქართველოს ეწვივნენ. ღვინის ტურის ფარგლებში, სომელიეებისა და იმპორტიორებისგან შემდგარი ჯგუფის წევრებმა ღვინის საწარმოები ქართლსა და კახეთში მოინახულეს.

თბილისში ასევე გაიმართა სხვადასხვა კომპანიის ღვინის დეგუსტაცია, სადაც სტუმრებმა ღვინის სხვადასხვა კომპანიის ღვინოები დააგემოვნეს, რითაც ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს საშუალება მიეცათ, ჩინეთის, იაპონიისა და ჰონგ-კონგის ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, პროფესიონალებისგან რჩევები და რეკომენდაციები მიეღოთ. აღსანიშნავია, რომ ჰონგ-კონგის ჯგუფის წევრები, მათი მომხმარებლების ინტერესებიდან გამომდინარე, ძირითადად, ორიენტირებული იყვნენ პრემიალური ხარისხის და მაღალი საფასო კატეგორიის ღვინოებზე.

20-22 ივნისს, კორეის რესპუბლიკის დედაქალაქ სეულში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში - Seoul Interenational Wines and Spirits Expo 2019 - ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია მონაწილეობდა.

გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Meiburg Wine Media“ ხელმძღვანელმა, ღვინის მაგისტრმა, დებრა მეიბურგმა ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა. გამოფენაზე ქართულმა ღვინომ სტუმრების დიდი ინტერესი და მოწონება დაიმსახურა, რაც ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისკენ გადადგმულ კიდევ ერთ მნიშვნელოვან ნაბიჯია.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტი

ექსპორტირებული ღვინის რაოდენობა 6%-ით, ხოლო ღირებულება 9%-ით გაიზარდა

2019 წლის პირველ ნახევარში საქართველოდან მსოფლიოს 44 ქვეყანაში 40,5 მლნ-მდე ბოთლი (0,75 ლ) ღვინოა ექსპორტირებული, რაც 2018 წლის ამავე მაჩვენებელს 6%-ით აღემატება. ექსპორტირებული ღვინის ღირებულება 98 მლნ აშშ დოლარს აჭარბებს, რაც 2018 წლის ანალოგიურ მონაცემზე 9%-ით მეტია.

ექსპორტი გაიზარდა ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე: აშშ - 88% (354874 ბოთლი), ჩინეთი - 19% (3554127) და პოლონეთი - 16% (1821802). ზრდა ასევე აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: საფრანგეთი - 120% (55908), ლიეტუვა - 68% (315306), მონღოლეთი - 68% (146892), ბელარუსი - 32% (889002), ისრაელი - 20% (131184), კანადა - 12% (83220), გერმანია - 11% (317771), ესტონეთი - 11% (326966), რუსეთი - 6%, (25582447), მოლდოვა - 3618% (263210) და ა.შ.

ექსპორტიორი ქვეყნების ხუთეულია: რუსეთი (25582447), უკრაინა (3752488), ჩინეთი (3554127), პოლონეთი (1821802) და ყაზახეთი (1656318).

ადგილწარმოშობის დასახელებებიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ექსპორტირებულია „ქინძმარაული“ – 7304286 ბოთლი, „მუკუზანი“ – 2328699, „წინანდალი“ - 1829563, ახაშენი - 750244, „ხვანჭკარა“ – 480890 და ა.შ.

6 თვის მონაცემებით, სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 229 კომპანიამ განახორციელა.

ამასთან, მსოფლიოს 18 ქვეყანაში ექსპორტირებულია 12,6 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 50%-ით აღემატება 2018 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავლებმა 27,4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (ზრდა 62%). მსოფლიოს 23 ქვეყანაში ექსპორტირებულია 238 ათასი ბოთლი (0,5 ლ) ჭაჭა, ექსპორტის ზრდამ 34% შეადგინა. ჭაჭის ექსპორტით მიღებული შემოსავალი 633,2 ათას აშშ დოლარს აღწევს (ზრდა 20%).

ქართულმა ფილმმა „საქართველო ღვინის სამშობლო“ მარსელის კინემატოგრაფიის ფესტივალზე სპეციალური პრიზი მიიღო

ქართულმა სამეცნიერო-დოკუმენტურმა ფილმმა „საქართველო ღვინის სამშობლო“ საფრანგეთში, ქალაქ მარსელში გამართულ კინემატოგრაფიისა და ფოტოგრაფიის ფესტივალზე „Oenovideo“ - ფესტივალის პარტნიორთა მიერ დაწესებული მეცნიერებისა და კულტურის სპეციალური პრიზი მიიღო. ეს პრიზი ტრადიციულად ფრანგულ ან უცხოურ ფილმს გადაეცემა, რომელიც ღვინისა და ვაზის მემკვიდრეობის კულტურულ და მეცნიერულ მიდგომას ან მეთოდს წარმოაჩენს.

ფესტივალზე ფილმის პრეზენტაციას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე და საფრანგეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი გოჩა ჯავახიშვილი დაესწრნენ.

მეღვინეობა-მევენახეობისადმი მიძღვნილი კინემატოგრაფიისა და ფოტოგრაფიის მსოფლიოში ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ფესტივალი „Oenovideo“, რომელიც ყოველწლიურად იმართება, წელს, 26-ედ მარსელის „ევროპისა და ხმელთაშუაზღვის ცივილიზაციების მუზეუმში“ ჩატარდა. წელს, ფესტივალის შესარჩევ ეტაპზე, 144 ფილმი მონაწილეობდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ნომინანტების სიაში კი მათგან მხოლოდ 37, მათ შორის, „საქართველო ღვინის სამშობლო“ მოხვდა.

ფილმი „საქართველო ღვინის სამშობლო“ იმ საერთაშორისო სამეცნიერო კვლევას ეძღვნება, რომლითაც მეცნიერულად დასაბუთდა, რომ სწორედ საქართველოა ღვინის სამშობლო და 8000 წლის წინ, სწორედ ჩვენს ქვეყანაში დაიწყო ღვინის პირველი წარმოება, რაც უწყვეტად გაგრძელდა თანამედროვეობამდე. ფილმში ასევე ასახულია 2017 წელს, ქალაქ ბორდოში, ღვინის ცივილიზაციის ცენტრში, გამართული ექსპოზიცია - „საქართველო - მეღვინეობის აკვანი“ .

სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმი გადაღებულია გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების სააგენტოს „საქპატენტის“ მხარდაჭერით. ორმოცწუთიანი ფილმის პროდიუსერი დავით ტყემალაძე, ხოლო რეჟისორი ალექსანდრე გაბუნიაა. გადაღებები სხვადასხვა დროს საქართველოსა და აშშ-ში, ასევე იტალიასა და საფრანგეთში მიმდინარეობდა. ფილმი გადაღებულია სტუდიის „სინემანი ფილმს“ ბაზაზე.

„ქინძმარაული“, „ახაშენი“, „ყვარელი“ და „მუკუზანი“ - აღნიშნული მიკროზონების ყურძნის ჩაბარება მხოლოდ ვენახების კადასტრის ამონაწერის საფუძველზე მოხდება

2019 წლის რთველის დროს, ყვარლისა და გურჯაანის მევენახეობის რეგიონებში, მევენახეები და კომპანიები დაცული ადგილწარმოშობის შემდეგი დასახელების - „ქინძმარაული“, „ახაშენი“, „ყვარელი და „მუკუზანი“ მიკროზონების ყურძნის ღვინის საწარმოებში ჩაბარებას მხოლოდ ვენახების კადასტრის ამონაწერის საფუძველზე შეძლებენ.

აღნიშნული დოკუმენტის არქონის შემთხვევაში ყურძენი შეფასდება როგორც ჯიშური ღვინის საფერავის მასალა.

ღვინის ეროვნულმა სააგენტომ ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში ვენახების ამონაწერის გაცემა დაიწყო იმ მევენახეებისა და კომპანიებისთვის, რომლებიც უკვე დარეგისტრირებული არიან ვენახების კადასტრის მონაცემთა ბაზაში.

2019 წლის 31 ივლისამდე, ღვინის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლები ყვარლისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტებში მევენახეებსა და კომპანიებს დაეხმარებიან ვენახის ამონაწერის განახლებაში.

ვენახების ამონაწერის მიღების შემდეგ, მევენახეებმა და კომპანიებმა უნდა დაამოწმონ ვენახის ამონაწერში მოყვანილი ინფორმაცია და დაეთანხმონ მის შინაარსს.

აღნიშნული პროცესი დასრულდება 2019 წლის 31 ივლისს.

ვენახების ამონაწერი არის ვენახების კადასტრის დოკუმენტი და შეიცავს ინფორმაციას მევენახეებისა და კომპანიების შესახებ (სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი) და ვენახის მახასიათებლებს (ადგილმდებარეობა, ფართობი ცალკეული ჯიშის მიხედვით, დარგვის წელი, და ა.შ.).

საქართველოს ვენახების ეროვნული კადასტრის შექმნა ხელს შეუწყობს ქართული ღვინის ხარისხის და კონკურენტიანობის გაზრდას მსოფლიო ღვინის ბაზარზე, უზრუნველყოფს რთველის პროცესის გამარტივებას და გამჭვირვალედ ჩატარებას.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით სსიპ ღვინის ეროვნულ სააგენტოს:

საკონტაქტო ინფორმაცია:

საქართველო, 0159, თბილისი, მარშალ გელოვანის N6; ტელ: +995 32 2470101, 1501 (ცხელი ხაზი) +995 32 974103;

www.wine.gov.ge, info.georgianwine@georgianwine.gov.ge, https://www.facebook.com/nationalwineagency/



„ჩვენი პრიორიტეტია სამართლიანობასა და ნდობაზე დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და მომხმარებლის იტერესების დაცვა“, - ვასილ ბასილაძე, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა ბაზარზე უვნებელი სურსათის განთავსების უზრუნველყოფა და მომხმარებლის ინტერესების დაცვაა. ამ მიზნით, სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ კონტროლს, ატარებს ცხოველების უფასო ვაქცინაციას სხვადასხვა ინფექციურ დაავადებაზე და უზრუნველყოფს მცენარეთა დაცვას მავნე ორგანიზმებისგან.

სააგენტოს საქმიანობისა და სურსათის უვნებლობასა და ვეტერინარიაში არსებული გამოწვევების შესახებ, გაზეთის „ჩვენი სოფელი“ კითხვებს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ ბასილაძე პასუხობს.

- რამდენად დაცულია დღეს მომხმარებელი მავნე სურსათისგან და რა ღონისძიებებს ატარებს სააგენტო?

- სააგენტოს პრიორიტეტია სამართლიანობასა და ნდობაზე დაფუძნებული სახელმწიფო კონტროლის განხორციელება და მომხმარებლის ინტერესების დაცვა. ამ მიზნით ინსპექტირების ჯგუფები ყოველდღიურ რეჟიმში ამოწმებენ სხვადასხვა პროფილის ბიზნესოპერატორებს. შემოწმება ხორციელდება, როგორც გეგმურად, ასევე არაგეგმურად. სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულია ბიზნესოპერატორების კონტროლის პერიოდულობა. ამასთან, ხშირია არაგეგმური შემოწმების შემთხვევებიც, როდესაც ცხელ ხაზზე 1501 მომხმარებლისგან შემოდის ინფორმაცია ან შეტყობინება, რაზეც საგენტო ოპერატიულად ახდენს რეაგირებას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მომხმარებელი საკმაოდ გააქტიურებულია. ამის ინდიკატორი წინა წლებთან შედარებით შეტყობინებების რაოდენობის ზრდაა, რაც მისასალმებელია.

- როგორ განსაზღვრავთ საქმიანობის პრიორიტეტებს?

- პრიორიტეტები სეზონურობის მიხედვით და რისკის ანალიზით განისაზღვრება. მაგალითად, ივნისი-სექტემბრის პერიოდში გააქტიურებულია ბოსტნეულის, ბაღჩეულის და ხილის კვლევა სხვადასხვა მაჩვენებელზე-პესტიციდების, ნიტრატების, ტყვიის და ა.შ. შემცველობაზე. ამ ეტაპისთვის, ასზე მეტი ნიმუშია აღებული და დარღვევები არ დაფიქსირებულა. მიუხედავად ამისა, სააგენტო განაგრძობს შემოწმებას და წლის ბოლომდე, ნიტრატების შემცველობაზე კიდევ 200 ნიმუშა აიღება. ამასთან, სააგენტომ შეამოწმა ბაზარზე განთავსებული სხვადასხვა სახეობის, როგორც იმპორტირებული, ისე ადგილობრივი წარმოების ნაყინი. უნდა აღინიშნოს, რომ დარღვევები არც ამ შემთხვევაში გამოვლენილა.

მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ისეთი მაღალი რისკის სურსათის შემოწმება როგორიც არის ხორცი და რძის ნაწარმი. ზაფხულის პერიოდში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტემპერატურული რეჟიმის, შენახვისა და რეალიზაციის წესების დაცვა. ჩვენ ხშირად მოვუწოდებთ მომხმარებელს, არ შეიძინოს ხორცი და რძის ნაწარმი იქ, სადაც ზემოხსენებული ნორმები არ არის დაცული.

უნდა ღინიშნოს, რომ ტურისტულ სეზონზე სააგენტო ინტენსიურად ამოწმებს საზოგადოებრივი კვების ობიექტებს საკურორტო ზონებში და იმ ადგილებში, სადაც მომხარებლის ნაკადი დიდია. სააგენტოს აქტიური კონტროლისა და გაცემული რეკომენდაციების შედეგად, გასულ წლებთან შედარებით დღეისათვის ვითარება გაუმჯობესებულია. ბევრი ობიექტი უკვე აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

კონტროლის განხორციელების გარდა, სააგენტოს ინტენსიური კომუნიკაცია აქვს ბიზნესსექტორთან. პერიოდულად იმართება შეხვედრები მნიშვნელოვან სიახლეებსა და ახალ რეგულაციასთან დაკავშირებით. მიმდინარე წლის მარტიდან, ამოქმედდა ტექნიკური რეგლამენტი - „მომხმარებლისათვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების - სურსათის ეტიკეტირების წესის შესახებ“, რაც ხელს უწყობს მომხმარებლის ინფორმირებულობის გაზრდას და მისი უფლებების დაცვას. უნდა აღინიშნოს, რომ ახალი რეგულაცია გამოწვევაა თავად ბიზნესისთვის. შესაბამისად აღნიშნული ცვლილების მიღებამდე აქტიურად მიმდინარეობდა განხილვები ბიზნეწრეებთან და დარგობრივ ასოციაციებთან.

- რა ღონისძიებები ტარდება ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით?

- სურსათის უვნებლობა დაფუძნებულია ერთიან ჯაჭვზე, მნიშვნელოვან პრინციპზე - „ფერმიდან სუფრამდე“ და თუ ეს ჯაჭვი სრულად არის დაცული, მომხმარებელი უვნებელ სურსათს მიიღებს.

ცხოველური წარმოშობის სურსათი მაღალი რისკის კატეგორიას მიეკუთვნება. შესაბამისად, აღნიშნული კატეგორიის პროდუქტის უვნებლობა, სწორედ ცხოველის ჯანმრთელობის დაცვიდან იწყება.

მარტივად რომ ვთქვათ, ჯანმრთელი ცხოველი ჯანსაღ პროდუქტს იძლევა. ამიტომ, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სურსათის უვნებლობაზე ზრუნვა, სწორედ ფერმიდან იწყებოდეს. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა ინფექციური დაავადების წინააღმდეგ უფასო ვაქცინაცია უტარდება მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვს. საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით, მიმდინარეობს ცხოველების იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამა, რაც აღრიცხვიანობას და მიკვლევადობას უწყობს ხელს. აქტიურად ხორციელდება ხორციელდება ინფრასტრუქტურული პროექტებიც. ქვემო ქართლის და კახეთის რეგიონებში უკვე ფუნქციონირებს 6 ვეტერინარული ზედამხედველობის პუნქტი, სადაც სეზონური გადარეკვისას, ცხოველებს გარეგან პარაზიტებზე უტარდებათ დამუშავება. აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს გადამდები დაავადებების გავრცელების შემცირებას.

სააგენტოს მიერ გატარებული ვეტერინარული ღონისძიებების შედეგად, სხვადასხვა ბაზარზე გაზრდილია საქართველოს, როგორც კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯი, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროდუქციის ექსპორტის მაჩვენებლების ზრდას.

ინდა ღინიშნოს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყანაში ეპიზოოტიური კეთილსაიმედოობის შენარჩუნებას, თუმცა იმისათვის რომ ცხოველი იყოს ჯანმრთელი და პროდუქტიული, თავად ფერმერის ძალისხმევაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აუცილებელია ვაქცინაციების დროულად ჩატარება, პარაზიტებზე დამუშავება, პრეპარატების გამოყენებისას უსაფრთხოების წესების ზედმიწევნით დაცვა და მუდმივი თანამშრომლობა ვეტერინართან.

მწვავე ვირუსული დაავადების - „თურქულის“ წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში საქართველო რეგიონში აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი წარმატებული ქვეყანა

მწვავე ვირუსული დაავადება „თურქული“ საქართველოს ტერიტორიაზე არ ფიქსირდება. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ყოველწლიურად ტარდება ცხოველების პროფილაქტიკური ვაქცინაცია.

„ამ ეტაპზე, მიმდინარეობს კონსულტაციები დაბალი რისკის ზონების შესაქმნელად და რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო სვანეთისა და მესტიის რეგიონის თურქულისაგან თავისუფალ ზონად გამოსაცხადებლად, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას და მეცხოველეობის განვითარებას“, - განაცხადა სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილემ, ვასილ ბასილაძემ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში გამართულ ყოველწლიურ საველე სიმულაციური სწავლების ღონისძიებაზე.

სიმულაციური სავარჯიშო კონტროლის ევროპული კომისიის (EuFMD) მხარდაჭერით, საქართველოსა (სამცხე ჯავახეთი) და თურქეთის (არდაჰანი) ტერიტორიებზე ერთობლივად ტარდება და მასში საქართველოს, თურქეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ირანის ვეტერინარული სამსახურების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

„უკანასკნელი წლების განმავლობაში, ჩვენ დავინახეთ შესანიშნავი პროგრესი საქართველოში. გაზრდილია როგორც ვაქცინაციის არეალი, ასევე მისი ხარისხი.

ჩვენი მიდგომა ამ დაავადების კონტროლთან მიმართებით, გარდა ქვეყნის მასშტაბით ვაქცინაციისა და მონიტორინგისა, არის დაბალი რისკის ზონების შექმნა. საქართველოს შემთხვევაში ასეთი ზონებია რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონი და მესტიის მუნიციპალიტეტი, რომლებიც საბოლოოდ თურქულისგან თავისუფალ ტერიტორიებად უნდა გამოცხადდეს”, - განაცხადა თურქულის დაავადების კონტროლის ევროპული კომისიის მენეჯერმა, კარსტენ პოტჩმა.

სიმულაციური სავარჯიშოების მიზანია თურქულისა და სხვა ტრანსსასაზღვრო დაავადებების კუთხით ქვეყნის საგანგებო მზადყოფნის შეფასება, ასევე რისკების მართვის მიზნით, ვეტერინარულ სამსახურებსა და საერთაშორისო პარტნიორებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება და ცნობიერების ამაღლება.

მოსაზღვრე და ახლომდებარე ქვეყნებში დაავადების ახალ-ახალი აფეთქებები, ცხოველების მოვლა-შენახვის მომთაბარე სისტემა (ცხოველების სეზონურ საძოვრებზე მიგრაცია) და ვირუსის შენარჩუნება გარემოში ქმნის გარკვეულ რისკებს, რომლის გათვალისწინებითაც საქართველოში ყოველწლიურად, ორჯერ ტარდება ცხოველთა თურქულის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია და სისხლის ნიმუშების კვლევა.

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიმდინარე წელს თურქულის წინააღმდეგ 654 642 სული ცხოველია ვაქცინირებული, მათ შორის, 333 574 სული მსხვილფეხა და 320 868 სული წვრილფეხა პირუტყვი.

ხილსა და ბოსტნეულში პესტიციდების ნარჩენების ნორმა ზღვარს არ აღემატება

სურსათის ეროვნული სააგენტო ხილსა და ბოსტნეულში პესტიციდების ნარჩენების კვლევას განაგრძობს. დედაქალაქსა და რეგიონებში, სარეალიზაციო ობიექტებიდან აღებულია ყველაზე ხშირად მოხმარებადი ხილისა და ბოსტნეულის ნიმუშები, რომლებიც კვლევისთვის აკრედიტებულ ლაბორატორიას გადაეცა.

შემოწმდა მარწყვი, ვაშლი, ბალი, პომიდორი, ახალი კარტოფილი, კიტრი, სტაფილო, კომბოსტო, ბადრიჯანი, ხახვი და ნიორი. გამოკვლეული 21 ნიმუშიდან პესტიციდების ნარჩენების ნორმასთან შეუსაბამობა არცერთში არ გამოვლენილა.

სურსათის ეროვნული სააგენტო ხილსა და ბოსტნეულში პესტიციდების ნარჩენების კვლევას, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მაისიდან ატარებს.

მაისი-ივნისის პერიოდის მონაცემებით, საქართველოს სარეალიზაციო ბაზარზე განთავსებულ ხილსა და ბოსტნეულში პესტიციდების ნარჩენების ნორმა ზღვარს არ აღემატება.

იტალიური კალიის საწინააღმდეგო ღონისძიებები ინტენსიურად მიმდინარეობს ქვემო ქართლის რეგიონის გარდაბნის, მარნეულის, ბოლნისისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში, სადაც კალიის კერებია დაფიქსირებული

სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალიზებული ტექნიკის მეშვეობით, შესაბამისი პრეპარატით, უკვე დამუშავებულია 1700 ჰექტარზე მეტი ფართობი.

სახელმწიფო პროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობა“ ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტო ყოველწლიურად ატარებს მავნე ორგანიზმების საწინააღმდეგო ბრძოლას, მათ შორისაა იტალიური კალია, რომელიც საფრთხეს უქმნის სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და ანადგურებს მწვანე საფარს. ბოლო წლებში, სააგენტოს მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, იტალიური კალიის პოპულაცია რეგულირებადია. მავნებელი საფრთხეს არ წარმოადგენს ადამიანისათვის.

ცხელი ხაზი : 1501

კოლხეთის ეროვნულ პარკში ტურისტული ინფრასტრუქტურა განახლდა



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო ქვეყანაში ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობას განაგრძობს.

კოლხეთის ეროვნულ პარკში მოეწყო და განახლდა ტურისტული ინფრასტრუქტურა. განხორციელებულ სამუშაოებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარე ვალერიან მჭედლიძე და გერმანიის სახელმწიფო განვითარების ბანკის KFW-ს სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ოფისის წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ.

კოლხეთის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრის ეზოში მოეწყო საპიკნიკე ადგილები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის განკუთვნილ პირსს. პალიასტომის ტბაზე შეკეთდა ფრინველებზე დაკვირვების კოშკურები. ასევე, ჩატარდა ნაპირსამაგრი სამუშაოები.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები საქართველოს დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდმა „შავი ზღვის ტერმინალის“ ფინანსური მხარდაჭერით განახორციელა.

კოლხეთის ეროვნული პარკი უნიკალური ბიომრავალფეროვნებით გამორჩეული დაცული ტერიტორიაა, რომელიც შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლსა და პალიასტომის ტბის აუზს მოიცავს. კოლხეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაცია ვიზიტორებს პალიასტომის ტბასა და მდინარე ფიჩორის ხეობაში სანაოსნო ტურებს, ასევე სპორტულ თევზჭერას, ფრინველებზე დაკვირვებას (ბერდვოჩინგს) და ეკოსაგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს. პარკში 4 ტურისტული მარშრუტი ფუნქციონირებს და ვიზიტორებს სანაოსნო ტურებს სთავაზობს. შესაძლებელია კატერით, პანტონით და კაიაკით გასეირნება.

მიმდინარე წელს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ხელმძღვანელობით მოხდა კოლხური ტყეებისა და წყალჭარბი ტერი-

ტორიების UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის ნომინაციაზე წარდგენა. ინიციატივა ხორციელდება გერმანიის მთავრობის, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდისა (WWF) და მიხეილ ზუკოვის ფონდის ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით.

დაცული ტერიტორიების მსოფლიო მემკვიდრეობის უბნად ნომინირება უმნიშვნელოვანეს მოვლენას წარმოადგენს ქვეყნისთვის. დოკუმენტაციის შესაბამისად, UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის საიტად კოლხეთის ეროვნულ პარკთან ერთად წარდგენილია მტირალას, კინტრიშისა და ქობულეთის დაცული ტერიტორიები, რომლებიც წარმოადგენს კავკასიის ეკორეგიონისა და შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

დაცული ტერიტორიებისთვის მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის სტატუსის მინიჭება ხელს შეუწყობს დაცულ ტერიტორიების ცნობადობის გაზრდას, ეკოტურიზმის განვითარებას, საერთაშორისო მნიშვნელობის ბუნებრივი ობიექტების მართვის გამოცდილების გაზიარებას, ვიზიტორების დაინტერესებას, რაოდენობის ზრდასა და შესაბამისად, შერჩეულ ტერიტორიებზე მაღალკვალიფიციური და თანამედროვე კვლევების წარმოების ალბათობას, ასევე დაცული ტერიტორიების მიმდებარედ მაცხოვრებელი მოსახლეობისთვის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოირჩევა მისი უნიკალური ეკოსისტემებითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით. ტერიტორიებზე გავრცელებულია წითელი ნუსხის, რელიქტური და ენდემური სახეობები. განსაკუთრებით აღსანიშნავია: კოლხური ბზა, ლაფანი, კოლხური მუხა, წიფელი, წაბლი, იშვიათი სფაგნუმები, უნგრენის შქერი და პონტოს მუხა. კოლხეთის დაბლობი არის იმ მნიშვნელოვანი სახეობების თავშესაფარი, რომლების გამყინვარების პერიოდს გადაურჩნენ. აღსანიშნავია, რომ ეს საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიებია და წარმოადგენს რამსარის საიტებს.

ყველაფერი, რაც ნადირობის შესახებ უნდა იცოდეთ

2013-19 წლებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბრაკონიერობის 3445 ფაქტი გამოავლინეს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლაა. უკანონო ნადირობა საფრთხეს უქმნის საქართველოს ბუნებრივ კაპიტალს - უმდიდრეს ფლორასა და ფაუნას, რომელზეც მოქალაქეების ჯანმრთელობა, კეთილდღეობა და ქვეყნის განვითარებაცაა დამოკიდებული. სწორედ ამიტომ, ბრაკონიერობის შემთხვევების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლები 24-საათიან რეჟიმში პატრულირებენ და ხშირად, საკუთარ ჯანმრთელობასა თუ სიცოცხლესაც კი საფრთხეში აგდებენ.

განსაკუთრებული ყურადღება იშვიათ და გადაშენების პირას მყოფ სახეობებს ექცევა. ასეთი კი, საქართველოში, არც თუ ცოტაა. მაგალითად, ჩვენი ქვეყნის დაცულ ტერიტორიებზე, ამ სტატუსის მქონე ცხოველების 90 სახეობა ბინადრობს. აქვეა, გვხვდება მსოფლიო მასშტაბით გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ფრინველების 27 სახეობა. ბრაკონიერობის შედეგად, შეიძლება ისინიც ისევე გაქრნენ ბუნებიდან, როგორც არაერთი სხვა პოპულაცია. მაგალითად, ბრაკონიერობის შედეგად, სრულად გადაშენდა კავკასიური დომბა, წინააზიური ჯიქი, ზოლიანი აფთარი, ქურციკი. რიგ ადგილებში გაქრა ნიამორი, არჩვი, ირემი, დურაჯი, შურთხი. სრულიად განადგურდა კასპიური ორაგული, ატლანტიკური და კოლხური ზუთხისა და შავი ზღვის ორაგულის პოპულაციები. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი სახეობების გადარჩენა და ამ სტატუსის არმქონე პოპულაციების დაცვაა. დეპარტამენტის თანამშრომლების მუშაობა განსაკუთრებით აქტიურდება შემოდგომის ბოლოს, უკანონო ნადირობის სეზონის გააქტიურებასთან ერთად და ზამთარში, მაშინ როცა ბრაკონიერობა პიკს აღწევს.

უკანონო ნადირობის 7 წლის სტატისტიკა

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ბოლო 7 წლის განმავლობაში, უკანონო ნადირობის 3445 ფაქტი გამოავლინეს. მათგან 38, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. ბრაკონიერობის ყველაზე მეტი - 901 ფაქტი იმერეთში დაფიქსირდა, 604 - კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 502, ქვემო ქართლში - 350, გურიაში - 322, შიდა ქართლში - 226, აჭარაში - 202, მცხეთა-მთიანეთში - 160, სამცხე-ჯავახეთში - 64 , რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში - 24, დედაქალაქში კი - 91 ფაქტი.

წლების მიხედვით, 2013 წლიდან დღემდე გამოვლენილი სამართალდარღვევების სტატისკიკა ასეთია:

- **2013 წელს,** გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ბრაკონიერობის 250 ფაქტი გამოავლინეს. მათგან 7 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. ყველაზე მეტი - 54 ფაქტი კახეთში დაფიქსირდა, ქვემო ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში - 52-52 სამართალდარღვევა გამოვლინდა, იმერეთში - 29, შიდა ქართლში - 27, გურიაში - 19, მცხეთა-მთიანეთში - 13, აჭარასა და თბილისში 2-2 ფაქტი დაფიქსირდა.
- **2014 წელს,** გამოვლენილი უკანონო ნადირობის 787 ფაქტიდან, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს მხოლოდ 5 შეიცავდა. ყველაზე მეტი - 209 ფაქტი კახეთში დაფიქსირდა. სამეგრელო-ზემო სვანეთში - 167, იმერეთში - 137, ქვემო ქართლში - 83, გურიაში - 57, შიდა ქართლში - 39, მცხეთა- მთიანეთში - 34, აჭარაში - 32, სამცხე-ჯავახეთში - 8, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში - 7, თბილისში კი -14.
- **2015 წელს,** ბრაკონიერობის დაახლოებით იგივე რაოდენობის ფაქტები დაფიქსირდა. გამოვლენილი 749 ფაქტიდან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს 7 ფაქტი შეიცავდა. ყველაზე მეტი სამართალდარღვევა დაფიქსირდა იმერეთში - 258, კახეთში - 96, გურიაში - 79, სამცხე-ჯავახეთში - 77, ქვემო ქართლში - 72, შიდა ქართლში - 55, მცხეთა-მთიანეთში - 52, აჭარაში - 39, სამცხე-ჯავახეთში - 8, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში - 6 და თბილისში - 7 ფაქტი.
- **2016 წელს**, ბრაკონიერობის გამოვლენილი ფაქტების რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა. დაფიქსირებული 850 სამართალდარღვევიდან, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს მხოლოდ 6 შეიცავდა. ყველაზე მეტი - 267 ფაქტი დაფიქსირდა იმერეთში. კახეთში - 124, ქვემო ქართლში - 93, გურიაში - 89, სამეგრელო-ზემო სვანეთში - 85, შიდა ქართლში - 74, აჭარაში - 57, სამცხე-ჯავახეთში - 26, მცხეთა-მთიანეთში - 14, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში - 2, ხოლო თბილისში ბრაკონიერობის 19 ფაქტი დაფიქსირდა.
- **2017 წელს,** უკანონო ნადირობის ფაქტები საგრძნობლად შემცირდა. გამოვლენილი 504 სამართალდარღვევიდან სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს 7 ფაქტი შეიცავდა. ყველაზე მეტი - 134 ფაქტი იმერეთში დაფიქსირდა, სამეგრელო - ზემო სვანეთში - 113, კახეთში - 56, აჭარაში - 54, გურიაში - 49, ქვემო ქართლში - 21, მცხეთა-მთიანეთში - 19, შიდა ქართლში - 16, სამცხე-ჯავახეთში -7, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში 1 ფაქტი, თბილისში კი, 35 სამართალდარღვევა დაფიქსირდა.
- **2018 წელს,** ბრაკონიერობის გამოვლენილი 225 ფაქტიდან, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს 3 შეიცავდა. ყველაზე მეტი - 58 სამართალდარღვევა დაფიქსირდა იმერეთში. კახეთში - 42. ბრაკონიერობის 24-24 ფაქტი გამოვლინდა ქვემო ქართლსა და გურიაში, მცხეთა-მთიანეთში - 22, აჭარაში - 16, შიდა ქართლში - 14, სამცხე-ჯავახეთში - 8, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთსა და სამეგრელო - ზემო სვანეთში - 3-3 ფაქტი, ხოლო თბილისში 11 სამართალდარღვევის ფაქტი დაფიქსირდა.
- **2019 წელს,** გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკანონო ნადირობის 42 ფაქტი გამოავლინეს. მათ შორის, 3 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავდა. ყველაზე მეტი - 15 ფაქტი დაფიქსირდა იმერეთში, სამცხე-ჯავახეთსა და კახეთში - 6-6, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთში - 5, სამეგრელო - ზემო სვანეთში - 4, გურიაში - 3. მიმდინარე წელს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თითო ფაქტი დაფიქსირდა შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთსა და აჭარაში, ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების შემცველი თითო ფაქტი სამცხე-ჯავახეთსა და თბილისში.

2014-2019 წლებში, ბრაკონიერების მიერ უკანონოდ მონადირებული სახეობების რაოდენობა ასეთია: შველი - 11, ჯიხვი - 3, კურდღელი - 2, მურა დათვი - 6, არჩვი - 3, გარეული ღორი - 8, ნუტრია - 1, მგელი - 1, ტურა - 8, ლელიანის კატა - 2, მელა - 1, მაჩვი - 3, წავი -1, კვერნა - 1, ხმელთაშუაზღვეთის კუ - 8, ბაკლანი - 12, ჩხიკვი - 1, კაჭკაჭი - 1, ქედანი - 60, მწყერი - 270, გარეული იხვი - 72, ჩიბუხა - 1, შაშვი - 2, ტყის ქათამი - 22, კაკაბი - 51, დიდი ყარაულა - 1, მტრედი - 5, სარსარაკი - 16, გედი - 3, ხოხობი - 4, ოლოლი (ყურებიანი ბუ) - 2, არწივი - 2, გნოლი - 4, ველის კაკაჩა - 2, კვირიონი - 1,მელოტა - 1, ქორი - 4, სვავი - 1, როჭო - 2, კირკიტა - 1, ჩხართვი - 19, ზარნაშო - 1, გავაზი - 9, სონღული - 6, სკორნისკარტა კოკონა - 8, დელფინი - 5.

სამონადირეო მეურნეობების დანიშნულება

ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, სახელმწიფომ არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. სწორედ ამ ჭრილში, შეგვიძლია განვიხილოთ სამონადირეო მეურნეობების არსებობაც. მეურნეობის მფლობელისთვის დადგენილია კონკრეტული მოთხოვნები - სალიცენზიო პირობები, რათა განახორციელოს ცხოველთა სამყაროს, მათი საბინადრო გარემოს დაცვისა და აღდგენის, სახეობრივი მრავალფეროვნებისა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნების ღონისძიებები.

ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიმუშაოს სამონადირეო მეურნეობის მართვის 10-წლიანი გეგმა, რომლის ძირითადი დანიშნულებაა სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიით განსაზღვრულ ტერიტორიაზე გარეულ ცხოველთა დაცვის, აღწარმოების, მდგრადი სარგებლობისა და მათი საბინადრო გარემოს



გაუმჯობესების ღონისძიებების დასახვა.

დღეს, საქართველოს მასშტაბით, კახეთის, ქვემო ქართლის, მცხეთა-თიანეთის, შიდა ქართლის, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში, 14 571 ჰა ფართობზე, 16 სამონადირეო მეურნეობა ფუნქციონირებს. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე გამოყოფილია მიზნობრივი ტერიტორიული ერთეულები, რომელთა შორის აღსანიშნავია: სანადირო უბანი (მეურნეობის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც ხდება ლიცენზიანტისათვის წლიური მოსაპოვებელი კვოტით დადგენილი ნადირ-ფრინველის მოპოვება), აღკვეთილი და აღწარმოების უბანი (გარეული ნადირ-ფრინველის ოპტიმალური რიცხოვნობის აღდგენის და მათი გამრავლების ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით) და ნადირ-ფრინველის საშენი (ხელოვნური აღწარმოების უბანი, ვოლიერულ ან ნახევრად ვოლიერულ პირობებში ნადირ-ფრინველის სადედე სულადობის შესანახი ადგილი, სადაც ხდება ნამატის მიღება და გამოზრდა). გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით, დამტკიცებულია იმ ნადირ-ფრინველის ნუსხა, რომლებზეც ნადირობა სამონადირეო მეურნეობაში დაშვებულია. ესენია: ნუტრია, კურდღელი, მაჩვი, ტყის კატა, ქვის კვერნა, მგელი, ტურა, მელა, ენოტისებური ძაღლი, ტყის კატა, გარეული ღორი, შველი, ენოტი, ხოხობი, კაკაბი, დურაჯი და გნოლი. აღსანიშნავია ისიც, რომ სამონადირეო მეურნეობაზე ნებადართულია ასევე გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა. სამონადირეო მეურნეობების გარეთ კი, გარკვეული ადგილების გარდა (ქალაქების ადმინისტრაციული საზღვრები და სახელმწიფო ნაკრძალები, ეროვნული პარკები, ასევე სახელმწიფო ნაკრძალების გარშემო 500-მეტრიანი და ეროვნული პარკების გარშემო 250-მეტრიანი ზონები) ნებადართულია ნადირობა მხოლოდ გადამფრენ ფრინველებზე. სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე მოსაპოვებელი რესურსის სახეობები და რაოდენობები - კვოტები, ყოველწლიურად მტკიცდება და მას წინ უძღვის სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ჩატარებული გარეული ნადირ-ფრინველის აღრიცხვა. მხოლოდ დადგენილი კვოტის ფარგლებშია დაშვებული სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ნადირობა.

სამონადირეო მეურნეობის მართვის სწორად და ეფექტიანად წარმოებისთვის, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სანადირო ცხოველების მდგრადი სარგებლობის და აღწარმოების ხელშეწყობას, ასევე საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების კონსერვაციის ქმედებების განხორციელებას, ჰაბიტატების დაცვას.

სამონადირეო მეურნეობის ტერიტორია, თავისი მიზანდანიშნულებით, განკუთვნილია სამოყვარულო-ტურისტული ნადირობის წარმოებისათვის და სხვა შემეცნებითი-სათავგადასავლო რეკრეაციული ღონისძიებებისათვის. იგი უნდა უზრუნველყოფდეს სამონადირეო მეურნეობის ტერიტორიაზე ეკოლოგიური უსაფრთხოების შენარჩუნებას, ასევე მონადირეთა და ტურისტთა კონტიგენტის მომსახურების მაღალ სტანდარტებს.

ტურისტ-ვიზიტორთა მომსახურების პროცესში ქართული ტრადიციების, ისტორიულ-კულტურული სიმდიდრეების პროპაგანდა და წინ წამოწევა, მათი ეფექტურობის მაქსიმალურად გათვალისწინება არის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რამაც სამონადირეო მეურნეობაში რაციონალური ბუნებათსარგებლობა უნდა უზრუნველყოს.

გარემოდან მგლის ამოღების წესი

ბოლო წლებში, რეგიონების მოქალაქეები ხშირად ჩივიან, რომ გარეული ცხოველები მათ და მათ შინაურ ცხოველებს საფრთხეს უქმნიან. უმეტესად საუბრობენ გადაშენების პირას მყოფი მგლისა და ტურას თავდასხმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გარეული ცხოველი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და მათ ქონებას (შინაურ ცხოველებს, ნათესებს და ა. შ) და ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია, თავდასხმის მომენტში, გარეული ცხოველის გარემოდან ამოღება/მოკვლა (რეგულირების ღონისძიება) შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინასწარი თანხმობის გარეშე.

გაითვალისწინეთ: თუ მოკალით გარეული ცხოველი, რომელიც საფრთხეს გიქმნიდათ, ამის შესახებ აუცილებლად, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს. თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ვალდებული ხართ, საქმის კურსში ჩააყენოთ მუნიციპალიტეტი, რომელიც ფაქტის შესახებ აცნობებს აღნიშნულ დეპარტამენტს. მოკლული გარეული ცხოველი, მათ შორის მგელიც, იმ პირმა უნდა გაანადგუროს, ვინც გარემოდან მისი ამოღება განახორციელა. დაუშვებელია, გარემოდან ამოღებული გარეული ცხოველის ან მისი ნაწილის გაყიდვა ან რაიმე სხვა ფორმით გასხვისება. აღნიშნულ ქმედებაზე კონტროლს ახორციელებს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი და ადგენს ოქმს გარეული ცხოველის განადგურების თაობაზე.

თუ გარეული ცხოველის აღნიშნული წესით გარემოდან ამოღება ვერ ხერხდება, თავდასხმის შესახებ უნდა აცნობოთ შესაბამის მუნიციპალიტეტს, რომელიც რეგულირების ღონისძიების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე, განცხადებით მიმართავს სამინისტროს. თავის მხრივ, სამინისტრო ახორციელებს ქმედებებს, რათა მოხდეს თავდამსხმელი გარეული ცხოველის გარემოდან ამოღების უფლების გადაცემა შესაბამისი მუნიციპალიტეტისთვის (მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საშუალებით). ამის შემდეგ, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ხელშეკრულებაში მითითებული პირობების გათვალისწინებით, შექმნას მონადირეთა ჯგუფი და მოახდინოს თავდამსხმელი გარეული ცხოველის ამოღება.

გარდა ამისა, გარემოდან მტაცებელი ცხოველის, მათ შორის მგლის ამოღება ხორციელდება სამონადირეო მეურნეობების მიერ, მათთვის დამტკიცებული კვოტის მიხედვით.

გადამფრენ ფრინველებზე ნადირობის სეზონი აგვისტოდან გაიხსნება. ამ პერიოდში, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ, რომ მთელი წლის განმავლობაში, ნადირობის დროს გეკრძალებათ შემდეგი მეთოდების გამოყენება: მცენარეთა საფარის დაწვა, გარეულ ფრინველთა კვერცხის შეგროვება და გაყიდვა, ცხოველთა ბუდეების, ბუნაგების, საცხოვრებელი ადგილების მოშლა ან განადგურება. ცხოველთა მასობრივი მოპოვების საშუალებებით – ყოველგვარი კუსტარული ან ქარხნული წესით დამზადებული ბადეებით (გარდა დამჭერი მტაცებელი ფრინველების ნებადართული მოპოვების შემთხვევებისა), ხაფანგებით, მარყუჟებით, აგრეთვე ორმოებით, სარეგვავებით (სარეჯგველების), ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა, საწამლავით, სანადირო იარაღზე დამონტაჟებული რეფლექტორებით, ასაფეთქებელი საშუალებების გამოყენებით, თოფებისა და სხვა თვითმსროლელი იარაღების დაგუშაგება. ასევე აკრძალულია ნადირობა და/ან ცხოველთა მოპოვება (დაჭერა) თვითმფრინავიდან, ვერტმფრენიდან, ავტომობილიდან, მოტოციკლეტიდან, კატარღებიდან, ძრავიანი ნავებიდან და სხვა მოტორიანი სატრანსპორტო საშუალებებიდან, მათ შორის, ღამით განათებული ფარებისა და პროჟექტორების მეშვეობით, ცხოველთა დევნა სატრანსპორტო საშუალებებით, წყალმცურავ ფრინველებზე ნადირობა ძრავაგამოურთველი მოტორიანი ნავებიდან და კატერებიდან (მოპოვება დევნით), ასევე ნადირობა ღამის ცეცხლის დანთებით, სტიქიური უბედურებების დროს დაუძლურებული ცხოველების მოპოვება, აგრეთვე მათზე ნადირობა წყალში გადასვლისას ან სხვა დაბრკოლებების გადალახვისას, მათ შორის, სტიქიური უბედურებისაგან თავის დაღწევის დროს; ცხოველების ბუნაგებიდან გამოდევნა მათი შებოლვით ან დატბორვით, აგრეთვე სოროების გათხრით; მსხვილი ჩლიქოსნების მოპოვება მცირეკალიბრიანი სანადირო იარაღითა და საფანტით, რომლის დიამეტრიც 5 მმ-ზე ნაკლებია. მთელი წლის განმავლობაში აკრძალულია ხმოვანი სიგნალების გამომცემი ელექტრონული (მათ შორის, ავტონომიურ კვების წყაროზე მომუშავე) მოწყობილობების მეშვეობით ფრინველის მოზიდვა (გარდა სამეცნიერო-კვლევითი მიზნებისა).

ნადირობისას დაშვებულია მონადირე ძაღლების გამოყენება. ასევე - სანადიროდ გაწვრთნილი მტაცებელი ფრინველების გამოყენება, ოღონდ, აუცილებლად უნდა გქონდეთ, ამ ფრინველის ფლობის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი.

ლობიოს მწვანე პარკის მოყვანა მზის სათბურში და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა

ლობიოს, როგორც მარცვალს ასევე მწვანე პარკს საქართველოს მოსახლეობა, სხვა პარკოსან კულტურებთან შედარებით, დიდი რაოდენობით მოიხმარს. ლობიოს მარცვლის საშუალო მოსავლიანობამ 2017 წელს 0.7 ტ/ჰა შეადგინა, რაც საკმაოდ დაბალია. გასათვალისწინებელია მისი მაღალი საბაზრო ფასიც. ლობიო საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოჰყავთ (ზღვის დონიდან 1600 მეტრამდე), ძირითადად, სამარცვლედ, ხოლო საპარკედ მისი მოყვანა მცირე ფართობზე მოსახლეობის ნაკვეთებში, ხოლო შედარებით დიდ ფართობებზე საკურორტო, საკონსერვო და ქალაქის საგარეუბნო ზონებში წარმოებს.

ლობიოს მწვანე პარკზე მოთხოვნა არასეზონურ პერიოდშიც დიდია, ამას მოწმობს პარკი ლობიოს ზამთრისთვის დაკონსერვებულ, ჩირის, მწნილის და სხვა სახით შენახვა. ლობიოს მწვანე პარკი შესანიშნავი სასურსათო პროდუქტია, მისი მონელებადობის კოეფიციენტი 85%-ია და მისი ცილა მონელებადობის მიხედვით ცხოველურ ცილას უახლოვდება.

ლობიოს მწვანე პარკი მდიდარია ცილებით და ნახშირწყლებით, დიდი რაოდენობითაა ვიტამინები, მინერალური მარილები და სხვა. ლობიოს პარკში, მარცვლისგან განსხვავებით, მცირეა ცილების შემცველობა, ჯიშების მიხედვით მერყეობს 2-5%-მდე, მაგრამ მდიდარია ვიტამინებით: C, A, E და B, შეიცავს ფოლიუმის მჟავას, მინერალურ მარილებს: მაგნიუმს, კალიუმს, ფოსფორს და სხვა.

იქედან გამომდინარე, რომ მოსახლეობა ადრე გაზაფხულზე (არასეზონურ პერიოდში) უზრუნველყოფილი იყოს ლობიოს ნედლი პარკით, მზის სათბურში საპარკე ლობიოს მოვლა-მოყვანაზე ჩატარდა ცდები. დაკვირვება წარმოებდა ორ ჯიშზე - ადგილობრივი „კუტი საპარკე“ და მაღალ მოზარდ (მხვიარა) სატაცურისებრ ლობიოზე. თესვა თებერვლის შუა რიცხვებში ჩატარდა.

პირველ ვარიანტში ჩითილი საჩითილე კასეტებში იქნა გამოყვანილი და გადაირგო, ხოლო მეორე ვარიანტში თესვა ბაზოებზე ჩატარდა. მიუხედავად იმისა, რომ საჩითილეში მცენარეები უფრო სწრაფად აღმოცენდა და განვითარდა, ორივე შემთხვევაში, გადარგვის შემდგომ, მცენარე თითქმის ერთნაირად განვითარდა და მწვანე პარკიც თითქმის ერთდროულად დაიკრიფა. ჩატარდა სამ - სამი კრეფა, ხოლო შემდეგ, ძლიერი სიცხეების გამო შეჩერდა მცენარის განვითარება. თითოეული ჯიში 90-90 მეტრ კვადრატ ფართობზე დაითესა. ცდიდან მიღებული შედეგები მოცემულია ცხრილში #1.

ცხრილში N1. მწვანე პარკის ორი წლის (2017 - 2018) საშუალო მოსავალი (90 კვ/მ)

ჯიშების დასახელება	I კრეფა		II კრეფა		III კრეფა		სამი კრეფის ჯამი კგ.	მოსავ. ტ/ჰა.
	კრეფის დრო	მოსავ. კგ.	კრეფის დრო	მოსავ. კგ.	კრეფის დრო	მოსავ. კგ.		
ლობიო სატაცურისებრი	ივნისის მეორე კვირა	93	ივნისის მესამე კვირა	110	ივნისის მეოთხე კვირა	38	241	26.7
ლობიო „კუტი საპარკე“	მაისის მესამე კვირა	77	მაისის მეოთხე კვირა	85	ივნისის პირველი კვირა	45	207	23.0

სატაცურისებური ლობიოს პარკის სიგრძემ საშუალოდ 70-80 სმ. შეადგინა, ხოლო კუტი საპარკესი - 20-25 სმ.

ადრე გაზაფხულზე მზის სათბურში ლობიოს პარკის მიღება მიზანშეწონილია საბაზრო ფასიდან გამომდინარე, ამ პერიოდში საქართველოს რეგიონების უმეტეს ნაწილში ღია გრუნტში ლობიოს მწვანე პარკი შემოსული არ არის. გარდა ამისა, სათბურში ძირითადად კიტრი ან პომიდორი მოჰყავთ, სათბურის სწორი ექსპლოატაციისთვის კი საჭიროა კულტურათა მორიგეობა. ნიადაგის გაუმჯობესებისთვის განსაკუთრებით პარკოსანი კულტურები არის მიზანშეწონილი.

ცხრილში N2 ნაჩვენებია მზის სათბურში საპარკე ლობიოს მოყვანისათვის შესასრულებელი სამუშაოების ვადები

განხორციელებული სამუშაოები	თებერვალი				მარტი				აპრილი				მაისი				ივნისი			
	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV	I	II	III	IV
თესვა კასეტებში		X																		
ჩითილის მოვლა			X	X																
ნიადაგის დამუშავება (მოტობლოკით)				X																
ბაზოკვლების მოწყობა				X																
წვეთოვანი სარწყავი მილების გაშლა					X															
პლასტიკური მულჩის გადაკვრა					X															
ჩითილის გადარგვა						X														
მორწყვა და ვენტილაციის რეგულირება							X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
პოლიპროპილენის ძაფის ჩამობმა							X													
მწვანე პარკის მოკრეფა სამჯერ ლობიო „კუტი საპარკე“															X	X	X			
მწვანე პარკის მოკრეფა სამჯერ ლობიო “სატაცურისებრი”																		X	X	X
სათბურის გასუფთავება ნარჩენებისაგან																				X

ცხრილი N3 მზის სათბურში სატაცურისებური ლობიოს მოყვანის ეკონომიკური პარამეტრები (100 მეტრ კვადრატზე)

ჩამონათვალი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი; ლარი	ღირებულება; ლარი
მასალა				
სათესლე მასალა	კგ	0.3	10	3
ორგანული სასუქი	ტ	0.3	70	21
პოლიეთილენის მულჩი	გრძ.მ	100	0.25	25
პოლიპროპილე-ნის ძაფი (შპალე-რისთვის)	კგ.	1	7.5	7.5
საჩითილე კასეტა	ცალი	10	1	10
სუბსტრატი	მ.კუბი	300	0.05	15
აგრო პერლიტი	ლიტრი	5	0.5	2.5
წვეთოვანი სარწყავი მილები	გრძ.მ.	200	0.25	50
ჯამი				134.00
სამუშაოები				
თესვა კასეტებში	კაცდღე	0.5	25	12.5
ჩითილის მოვლა	კაცდღე	1.5	25	37.5
ნიადაგის დამუშავე-ბა (მოტობლოკით)	კაცდღე	0.5	25	12.5
ბაზოკვლების მო-წყობა	კაცდღე	1	25	25
წვეთოვანი სარწყავი მილების გაშლა	კაცდღე	0.25	25	6.25
პლასტიკური მულჩის გადაკვრა	კაცდღე	0.5	25	12.5
ჩითილის გადარგვა	კაცდღე	0.5	25	12.5
მორწყვა და ვენტი-ლაციის რეგულირება	კაცდღე	3	25	75
პოლიპროპილენის ძაფის ჩამობმა	კაცდღე	1	25	25
მწვანე პარკის მოკ-რეფა სამჯერ	კაცდღე	1.5	25	37.5
სათბურის გასუფთა-ვება ნარჩენებისაგან	კაცდღე	1	25	25
ჯამი				281.25
დანახარჯი	ლარი			415.25
შემოსავალი სამი მოკრეფიდან	კგ	241	3	723
მოგება	ლარი			307.75
რენტაბელობა დანა-ხარჯთან %	ლარი			74
დანახარჯი 1კგ.	ლარი			1.72

ცხრილი N4 მზის სათბურში კუტი საპარკე ლობიოს მოყვანის ეკონომიკური პარამეტრები. (100 მეტრ კვადრატზე)

ჩამონათვალი	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი; ლარი	ღირებულება; ლარი
მასალა				
სათესლე მასალა	კგ	1	5	5
ორგანული სასუქი	ტ	0.3	70	21
პოლიეთილენის მულჩი	გრძ.მ	100	0.25	25
საჩითილე კასეტა	ცალი	10	1	10
სუბსტრატი	მ.კუბი	0.05	300	15
აგრო პერლიტი	ლიტრი	5	0.5	2.5
წვეთოვანი სარწყავი მილები	გრძ.მ.	200	0.25	50
ჯამი				128.5
სამუშაოები				
თესვა კასეტებში	კაცდღე	0.5	25	12.5
ჩითილის მოვლა	კაცდღე	1.5	25	37.5
ნიადაგის დამუშავება(მო-ტობლოკით)	კაცდღე	0.5	25	12.5
ბაზოკვლების მოწყობა	კაცდღე	1	25	25
წვეთოვანი სარწყავი მი-ლების გაშლა	კაცდღე	0.5	25	12.5
პლასტიკური მულჩის გადაკვრა	კაცდღე	0.5	25	12.5
ჩითილის გადარგვა	კაცდღე	0.5	25	12.5
მორწყვა და ვენტილაციის რეგულირება	კაცდღე	3	25	75
მწვანე პარკის მოკრეფა სამჯერ	კაცდღე	1.5	25	37.5
სათბურის გასუფთავება ნარჩენებისაგან	კაცდღე	1	25	25
ჯამი				200
დანახარჯი	ლარი			328.5
შემოსავალი სამი მოკრე-ფიდან	კგ	207	3	621
მოგება	ლარი			292.5
რენტაბელობა დანა-ხარჯთან %	ლარი			89
დანახარჯი 1კგ.	ლარი			1.59

როგორც ეკონომიური პარამეტრების ცხრილიდან ჩანს, სატაცურისებური ლობიოს მოყვანის შემთხვევაში, მოგება (100 მეტრ კვადრატზე) არის 307.75 ლარი, რენტაბელობა 74%, ხოლო 1 კგ ლობიოს მწვანე პარკის მოყვანისათვის დანახარჯი 1.72 ლარია. „კუტი საპარკის“ მოყვანის შემთხვევაში, მოგება არის 292.5 ლარი, რენტაბელობა 89%, ხოლო 1 კგ მწვანე პარკის მოყვანის დანახარჯი 1.59 ლარი. გაანგარიშებები გათვლილია დაქირავებული მუშახელის შემთხვევაში.

თუ მოვლა-მოყვანისათვის საჭირო სამუშაოებს შეასრულებს თვითდასაქმებული, სატაცურისებური ლობიოს მოყვანის შემთხვევაში, დანახარჯი იქნება 135 ლარი, ბ 589 ლარი, რენტაბელობა 440%, დანახარჯი 1 კგ პარკის მიღებისთვის 0,56 ლარი. „კუტი საპარკის“ შემთხვევაში, დანახარჯი არის 125,5 ლარი, შემოსავალი 621 ლარი, მოგება 492,5 ლარი, რენტაბელობა 383%, 1 კგ მწვანე პარკის მოყვანისთვის დაიხარჯა 0,62 ლარი.

გაანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემების მიხედვით, ლობიოს მწვანე პარკის მოყვანა მარტივი ტიპის მზის სათბურში მომგებიანია როგორც ფინანსურად, ასევე აგროტექნიკური თვალსაზრისით; სათბურში კულტურათა მორიგეობისათვის და ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესების მიზნით.

ახალგაზრდა ფერმერმა დუშეთში მესაქონლეობის ფერმა შექმნა

რამდენიმე თვის წინ ახალგაზრდა ფერმერმა, შოთა მუხიგულაშვილმა დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვავილში მერძევეობის ფერმის მოწყობა დაიწყო. ფერმერმა სახელმწიფოს მიერ განხორციელებული შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა. როგორც თავად აცხადებს, სახელწმიფო მას სესხის ყოველწლიურ 11%-ს უფარავს და დამატებით მხოლოდ 3%-ის გადახდა უწევს. ადგილობრივ ჯიშებთან ერთად, ფერმაში შოთა მუხიგულაშვილს ამჟამად ჯერსის, შვიცისა და ჰოლშტეინის ჯიშის პირუტყვიც ჰყავს. ახალგაზრდა ფერმერი მერძეულ და მეხორცულ მიმართულებას ერთდროულად ავითარებს.

ფერმაში, რომლის ინსფრასტრუქტურის მშენებლობა ჯერ ბოლომდე არ დასრულებულა, ამ დროისთვის 50 სული პირუტყვია.

„გვინდა, რომ სულადობა ასამდე გავზარდოთ, ამის შესაბამისი შენობა გვაქვს და ასევე ფართის მომატების საშუალებასაც ვტოვებთ იმ შემთხვევისთვის, თუ კიდევ გავზრდით პირუტყვის რაოდენობას. ადგილობრივი ჯიშის ძროხების წველადობა ძალიან დაბალია, ამიტომ აქცენტს ვაკეთებთ ჯიშების განახლებაზე და მომავალში, ეტაპობრივად, მაღალპროდუქტიულ ჯიშებზე სრულად გადასვლა უნდა შევძლოთ“, - ამბობს შოთა მუხიგულაშვილი.

ფერმაში ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული. პირუტყვის მოვლა-პატრონობაში მუხიგულაშვი თავის მეუღლესთან ერთადაა ჩართული. მიწის დიდ ფართობებს არ ფლობენ, ამიტომ, ძირითადად, საქონლისთვის საკვების ყიდვა უწევთ. თუმცა, წელს უკვე ერთწლიანი სპეციალური ბალახი დათესილი აქვთ და ასევე მომდევნო სეზონიდან სხვა მრავალწლიანი ბალახების დათესვასაც აპირებენ, რისი საშუალებითაც წველადობას გაზრდიან. ჯერჯერობით არც საწველ დარბაზს და არც საწველ აპარატებს არ ფლობენ, მაგრამ მაღალპროდუქტიული საქონლის გამრავლების შემდეგ, წველის თანამედროვე სისტემებზე გადასვლას გეგმავენ.

ხონის რაიონში ბიოჩაის წარმოება უახლოს მომავალში დაიწყება

თამარ გენძეხაძე 22 წელია რაც ხონში სათნოების სახლის ხელმძღვანელია. ამ დროის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ათასობით უმწეო ადამიანისთვის გაუწვდია დახმარების ხელი.

ყოველდღე 150 ბენეფიციარს უმასპინძლდება სადილით. გული წყდება, რომ გარშემო უსახსროდ დარჩენილი ამდენი გაჭირვებული ადამიანია. კარგად ახსოვს მშობლიური ხონის რაიონი როგორ ამარაგებდა მაღალხარისხიანი ჩაის ფოთლით იმდროინდელ ჩაის გადამმუშავებელ ფაბრიკებს. მოთხოვნაც დიდი იყო, როგორც თავად ამბობს, ბავშვობაში თავადაც გაჰყოლია ბებიას ჩაის საკრეფად. თუმცა, ბოლო 20-30 წელია უყურადღებოდ დარჩენილი პლანტაციები გაველურდა და განადგურდა. გლეხებმა ჩაის ბუჩქების ამოძირკვა და სხვა კულტურების გაშენება დაიწყეს. თავადაც ასე მოიქცეოდა, სახელმწიფოს რომ არ დაეწყო ქართული ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა. პროფესიით იურისტს სოფლის მეურნეობასთან აქამდე შეხება არასდროს ჰქონია, თუმცა პარტნიორებთან ერთად შექმნა კოოპერატივი „თამარის ჩაი“ და 2017 წელს კუთვნილ 15 ჰა ფართობზე გაველურებული ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია დაიწყო. წელს, 2 წლის თავზე, აღდგენილი პლანტაციიდან მცირე რაოდენობის უმაღლესი ხარისხის ჩაის ფოთოლი უკვე მოიკრიფა. როგორც თავად თამარი ამბობს, ადგილობრივი კლიმატური პირობები და ნიადაგი ხელსაყრელ პირობებს ქმნის უმაღლესი ხარისხის ბიოჩაის წარმოებისთვის. სამომავლოდ, სწორედ ამ სეგმენტის დაკავებას ფიქრობს ფერმერი, თუმცა, დღეს უმნიშვნელოვანესია, რომ რეაბილიტირებული პლანტაციიდან მოკრეფილი ჩაის ფოთოლი სწორად დამუშავდეს, რაშიც კოოპერატივს „თამარის ჩაი“ სახელმწიფოსგან უსასყიდლოდ მიღებული ჩაის პირველადი გადამუშავების დანადგარები დაეხმარება. როგორც თამარ გენძეხაძე ამბობს, ჯამში, პლანტაციიდან 50 ტონა მაღალი ხარისხის ჩაის ფოთოლი უნდა მოიკრიფოს. სამომავლოდ ფიქრობენ, რომ კიდევ 10 ჰა გაველურებული ჩაის პლანტაცია შეიძინონ და პროგრამის ფარგლებში ჩაუტარონ რეაბილიტაცია. ფერმერის თქმით, იგი ამაყია, რომ მშობლიურ ხონის რაიონში ტრადიციული ჩაის კულტურის აღორძინებაში მცირე წვლილი შეაქვს, რაც წარმოუდგენელი იქნებოდა ქართული ჩაის რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის მხარდაჭერის გარეშე.

თერჯოლის რაიონში მდებარე რძის გადამამუშავებელი საწარმო ნედლეულს 50-მდე ადგილობრივი ფერმერული მეურნეობებისაგან იბარებს

თერჯოლის რაიონში მდებარე რძის გადამმუშავებელი საწარმო ნედლეულს 50-მდე ადგილობრივი ფერმერული მეურნეობებისგან იბარებს

პროფესიით ეკონომისტმა, კახა მანჯავიძემ ბიზნესსაქმიანობა 2000 წელს, პოლიგრაფიული სტამბით დაიწყო. ბიზნესის სწორი მართვის წყალობით, წარმატებასაც მალევე მიაღწია. დიდი სურვილი ჰქონდა, სოფლის მეურნეობაშიც ეცადა ბედი და 2010 წელს ხარაგაულში, მშობლიურ სოფელში 60 სულ პირუტყვზე გათვლილი მესაქონლეობის ფერმა ააშენა. საოჯახო ტიპის ფერმას, ძირითადად, ოჯახის წევრები უძღვებოდნენ. სურვილი ჰქონდა ბიზნესი გაეფართოებინა, მაგრამ რძის გადამმუშავებელი საწარმოს მშენებლობისთვის საჭირო ინვესტიციის მოძიება გაუჭირდა.

2016 წელს, შესაბამისი ბიზნესგეგმის წარდგენის შემდეგ, სახელმწიფოს მხარდაჭერით საწარმოს აშენებისთვის აუცილებელი დაფინანსება მიიღო და 2018 წელს თერჯოლაში თანამედროვე ტექნიკა-დანადგარებით აღჭურვილი რძის გადამმუშავებელი საწარმო „ზეკარი“ გაიხსნა. კახა მანჯავიძის თქმით, საწარმოში დასაქმებულია 15 ადამიანი. „ზეკარის“ პერსონალმა სპეციალური გადამზადება გაიარა და მათი კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დადგენილ სტანდარტებს. დღე-ღამეში საწარმოს 12 ტონა ნედლი რძის გადამუშავება შეუძლია. ნედლეულს რეგიონის 50-მდე მსხვილი და წვრილი ფერმერული მეურნეობიდან იბარებენ. სექტემბერში საწარმო დაასრულებს HACCP- ის მისაღებად აუცილებელ პროცედურებს და ქართულ ბაზარზე წარადგენს უმაღლესი ხარისხის რძე-მჟავა პროდუქტებს (ხაჭო, არაჟანი, მაწონი და რძე).

„უმოკლეს დროში, ასევე „ზეკარის“ ბრენდით, მომხმარებელი სავაჭრო ქსელების დახლებზე იხილავს ევროპული ტექნოლოგიით დამზადებულ და ძველი ქართული წესით ქვევრში დაძველებულ პრემიუმ კლასის ყველს“, - ამბობს კახა მანჯავიძე.

სამომავლოდ, ბიზნესმენი ISO_22 000-ის აღებას გეგმავს, რაც საშუალებას მისცემს „ზეკარს“ ბრენდით წარმოებული რძის პროდუქტები ექსპორტზეც გაიტანოს.

„ყოველივე წარმოუდგენელი იქნებოდა სახელმწიფოს მიერ ინიცირებული პროექტების დახმარების გარეშე. საწარმო „ზეკარი“ ბიზნესის და სახელმწიფოს წარმატებული თანამშრომლობის შედეგია“, - ამბობს ფერმერი კახა მანჯავიძე.

მდინარე ალგეთი საქართველოს წითელი ნუსხის სახეობის, ნაკადულის კალმახის ლიფსიტით გათევზიანდა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ალგეთის ეროვნული პარკის მდინარეში იშვიათი პოპულაციების ზრდის მიზნით, ველური ბუნების სააგენტოს მიერ გამოყვანილი ნაკადულის კალმახის 350 ცალი ლიფსიტა გაუშვა.

2016 წლის სექტემბრიდან, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ველური ბუნების სააგენტო ახალ პროექტს ახორციელებს, რომელიც საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობის, ნაკადულის კალმახის გამრავლებას ითვალისწინებს. ტერიტორიაზე განხორციელდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, აშენდა ორი ტბორი და 8 რკინა-ბეტონის სპეციალური აუზი. ამ დროისთვის, ხელოვნურად გამოჩეკილია 25 000 ცალი ნაკადულის კალმახის ლიფსიტა. სააგენტოს გეგმაა წელიწადში ნახევარი მილიონი ლიფსიტის წარმოება და მდინარეების გათევზიანება.

ჭალა-ორღულის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას აქტიურად განაგრძობს. საჩხერის მუნიციპალიტეტში ჭალა-ორღულის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროექტის I ეტაპი ითვალისწინებს ჭალა-ორღულის სარწყავი სისტემის სათავე ნაგებობისა და მაგისტრალური არხის ჭალის მონაკვეთის მოწესრიგებას.

პროექტის ფარგლებში მოეწყობა:

- მონოლითური რკინაბეტონის არხი 840 გრძივი მეტრი;
- ახალი წყალგამშვებშემტბორავი ნაგებობები;
- რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ მილხიდებს.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად, სოფელ ჭალაში 50 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი მოირწყვება.

პროექტის საერთო ღირებულებაა 242 500ლარი.

სარწყავი სისტემა წყალს მდინარე ყვირილას კალაპოტში მოწყობილი სათავე ნაგებობიდან იღებს.

ჭალის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის სიგრძეა 2,5კმ.